



## ვენეციის ბიენალე

### 57-ე საერთაშორისო გამოფენა

#### ქრისტინ მვისელი

#### 57-ე საერთაშორისო გამოფენის კურატორი

### VIVA ARTE VIVA

კონტლიქტებითა და წინააღმდეგობით სავსე სამყაროში, სადაც ჰუმანიზმი მუდმივად სერიოზული საფრთხის წინაშეა, სწორედ ხელოვნება არის ადამიანის ყველაზე ძვირფასი ნაწილი - იდეალური სივრცე ფიქრის, თვითგამოხატვის, თავისუფლებისა და ფუნდამენტური კითხვების დასასმელად. ხელოვნება საუკეთესო ადგილია ოცნებების და უტოპიების, სულიერი განზომილების, სხვა ადამიანებთან, ბუნებასა და კოსმოსთან ურთიერთობისათვის, სადაც ხელოვნების, როგორც უკანასკნელი ციხესიმაგრის, ბალის კულტივირება ტენდენციებისა და კერძო ინტერესების მიღმა ხორციელდება. ხელოვნება ინდივიდუალიზმის და გულგრილობის ერთგვარი ალტერნატივაა, რომელიც გვეხმარება ჩამოყალიბებასა და გაზრდაში. ეს არის "კი", რომელსაც ვეუბნებით ცხოვრებას, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მის უკან დგას "მაგრამ". ახლა, როგორც არასდროს, თანამედროვე ეპოქაში ხელოვანის როლი, ხმა და პასუხისმგებლობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

**Viva Arte Viva** არის შეძახილი, ემოციური დამოკიდებულების გამოხატვა ხელოვნებისა და ხელოვანის მიმართ. **Viva Arte Viva** ხელოვანებთან ერთად, ხელოვანების მიერ შექმნილი და მათთვის განკუთვნილი ბიენალეა, რომელიც მათ მიერ შემოთავაზებულ ფორმებს, დასმულ კითხვებს, არჩეულ ცხოვრების სტილს და მათ პრაქტიკულ გამოცდილებასა ეხება.

ხელოვნება და ხელოვანები წარმოადგენენ გამოფენის ძირითად ბირთვს, რაც მათი შემოქმედებითი მოღვაწეობისა და ხელოვნების შექმნის საშუალებებს უკავშირდება, უმოქმედობასა და მოქმედებას, *otium*-სა და *negotium*-ს შორის. რომაული სიტყვა *otium*

მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან *scholé* და გულისხმობს *განსაკუთრებულ მომენტს*, რომელიც დღესდღეისობით არასწორად ითარგმნება როგორც *უმოქმედობა (idleness)*, რაც მის მნიშვნელობას აკნინებს, ან როგორც ტერმინი *დასვენება (leisure)*, რომელიც ასოცირდება ინგლისურ ენაში ტერმინთან *გართობა (entertainment)*. საპირისპიროდ სიტყვისა *საქმიანობა* და *negotium*, რომლესაც ხელოვანი არ გაუარბის, სიტყვა *otium* პირიქით ხაზს უსვამს, რომ უმოქმედობისა და მოცლილობის დრო, ზანტ მოქმედებასა და გონებრივ სამუშაოს, სიმშვიდესა და აქტივობას აერთიანებს და სწორედ აქ იბადება ხელოვნება.

დანყებული ხელოვანის ნააზრევით, მისი მოქმედებით, მიწიერი და სულიერი საზრდოთი, მატერიალური და მენტალური გარემოთი, გამოფენა ორგანულად, თანმიმდევრულად იმლება პავილიონებში, ოთახებსა და *სტანცებში (stanze)*, რომლებიც მაყურებელს სთავაზობს გამოცდილებას - ერთგვარ მოგზაურობას შინაგანი სამყაროდან უსასრულობამდე.

ეს პავილიონები თუ **ტრანს-პავილიონები**, რომლებიც აერთიანებს ყველა თაობისა და წარმოშობის ხელოვანს, წიგნის თავების მსგავსად თანმიმდევრულად ებმის ერთმანეთს. „ხელოვანებისა და წიგნების პავილიონიდან“ დანყებული „დროისა და უსასრულობის პავილიონით“ დამთავრებული ათეულობით სამყარო მოგვითხრობს საკამათო და ზოგჯერ პარადოქსულ ამბებს ცხოვრების სირთულესა, განსხვავებულ ცოდნასა და ხედვაზე. გამოფენა მიზნად ისახავს წარმოაჩინოს ექსტრავერტიკული მიმართულებების, ცნობადი ადგილების და ყველაზე უცნობი განზომილებების გამოცდილება, რაც ნეო-ჰუმანიზმისაკენ მიმავალ გზებს გვიჩვენებს.

**Viva Arte Viva** ორიენტირებულია ახალგაზრდა ხელოვანების აღმოჩენაზე, რაც პოზიტიური და პერსპექტიული ენერჯის დანერგვას გულისხმობს. ამავე დროს, მიზნად ისახავს ხელახლა აღმოაჩინოს ისინი, ვინც ნაადრევად გარდაიცვალა ან ისინი, ვინც მათი ნამუშევრების მნიშვნელობისდა მიუხედავად, საზოგადოებისათვის უცნობი დარჩა. „აღმოჩენები“ და „ხელახალი აღმოჩენები“ წარმოაჩენენ სხვადასხვა თაობის ხელოვანების ნამუშევრებს, სხვადასხვა კულტურული სივრცეების კვლევისას, როგორცაა ლათინური ამერიკა, აზია და შუა აღმოსავლეთი, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ევროპას, მის აღმოსავლეთ საზღვრებსა და რუსეთს.

თანმხლები თემები და ღონისძიებები დაეფუძნება იმავე იდეას, რომელიც ხელოვანს გამოფენის მთავარ ფიგურად აქცევს. გამოფენის კატალოგი მთლიანად ეძღვნება ხელოვანებს, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთი გამოცდილებისა და სამყაროს აღქმის შესახებ ვიზუალურ და ტექსტუალურ მასლას.

**Viva Arte Viva** წინა პლანზე აყენებს ხელოვანებს და აძლევს თვითგამოხატვის საშუალებას. გამოფენის მიმდინარეობისას, ექვსი თვის მანძილზე, ყოველკვირეულად გაიმართება შეხვედრები „ღია მაგიდის“ (**Tavola Aperta**) ფორმატში. აქ, არაფორმალურ გარემოში,

ხელოვანსა და დამსწრე საზოგადოებას საშუალება მიეცემათ გამართონ დიალოგი და ისაუბრო ხელოვანის გამოცდილების შესახებ. აღნიშნული ღონისძიებები ცენტრალური პავილიონის წინ - Giardini-სა და არსენალეს ტერიტორიაზე - Sale d'Armi გაიმართება.

გარდა ამისა, გამოიყოფა ადგილი პროექტის „ხელოვანის შემოქმედება“ (**Artist's Practices Project**) განსახორციელებლად, სადაც ხელოვანები მოკლე ვიდეო სერიების საშუალებით წარმოადგენენ საკუთარ სამყაროსა და შემოქმედებას. გამოფენის გახსნამდე რამოდენიმე კვირით ადრე, ყოველ დღე თითო ვიდეო ნამუშევარი ბიენალეს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდება, რაც მონაწილეთა წინასწარ აღმოჩენის საშუალებას იძლევა.

აღნიშნული ორი პროექტი ხელმისაწვდომი იქნება ბიენალეში მონაწილე ყველა ხელოვანისათვის. დარჩენილი კვირის განმავლობაში, ყველა ეროვნული პავილიონი მიწვეული იქნება პროექტში „ღია მაგიდა“ (**Tavola Aperta**) მონაწილეობის მისაღებად და ასევე მონაცემთა ბაზაში ხელოვანისა და მისი გამოცდილების შესახებ ვიდეოს გასაზიარებლად.

**Viva Arte Viva-ს** მიზანია ამგვარი თანამონაწილეობის მეშვეობით, გააძლიეროს კავშირი ბიენალესა და ხელოვანებს შორის.

ბოლოს კი წარმოდგენილი იქნება ვალტერ ბენიამინის (Walter Benjamin) 1931 წელს გამოქვეყნებული ესსეით შთაგონებული პროექტი - **Unpacking My Library** (ჩემი ბიბლიოთეკის გაზიარება), რომლის ფარგლებში **Viva Arte Viva-ს** მონაწილე ხელოვანებს საშუალება მიეცემათ შექმნან თავიანთი საყვარელი წიგნების სია. ეს იქნება ხელოვანის წარმოჩენის კიდევ ერთი შესაძლებლობა და მისი შემოქმედების მიმართ საზოგადოებაში ინტერესის გაზრდის მცდელობა (Walter Benjamin, *Unpacking My Library: a Talk about Book Collecting*, რომელსაც ერთვის ავტორის მიერ შეგროვებული და წაკითხული წიგნების სია). ეს ყველაფერი აისახება გამოფენასა და კატალოგში.

*ქრისტინ მვისელი*